პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

გამოცემის მე-13 წელი

№ 48 (1062) | კვირა, 21 აპრილი, 1957 წ. | ფასი 30 კაპ.



ვისწავლოთ, ვიშრომოთ ლენინურად

ყოველი წლის 22 აპრილს საბჭოთა ხალხი, მთელი პროგრესული კაცობრიობა დიდი ზეიმით აღნიშნავენ საბჭოთა სახელმწიფოს შემქმნელის, კომუნისტური პარტიის გენიალური ბელადის დიდი ლენინის დაბადების დღეს. მიმდინარე წელს ჩვენ აღვნიშნავთ ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების 87-ე წლისთავს.

მთელი თავისი შესანიშნავი, შემოქმედებითი წვით აღსავსე ცხოვრება მსოფლიოს მშრომელთა ბელადმა ვლადიმერ ილიას-ძე ლენინმა მოახმარა კაპიტალიზმის მონობისაგან მუშათა და გლეხთა განთავისუფლების, კომუნისტური საზოგადოების აშენების საქმეს. ლენინის გამოსვლა პოლიტიკურ და საზოგადოებრივ სარბიელზე დაემთხვა მსოფლიო ისტორიის გარდამავალ პერიოდს, როცა დაიწყო იმპერიალიზმის ეპოქა, პროლეტარული რევოლუციები. ლენინმა, მარქსისტებიდან პირველმა, დაინახა რევოლუციის ქარიშხალის დასაწყისი.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება ლენინიზმის დიადი იდეების ტრიუმფი იყო. ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ საფუძველი ჩაუყარა ახალ ერას კაცობრიობის ისტორიაში — სოციალიზმის ერას.

ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების შემდეგ კომუნისტურმა პარტიამ, ლენინმა ჩაატარეს უდიდესი ორგანიზატორული მუშაობა მსოფლიოში პირველი საბჭოთა სახელმწიფოს განმტკიცების, სოციალიზმის მშენებლობის გამარჯვებისათვის. ლენინის ხელმძღვანელობით ჩვენმა ხალხმა გაანადგურა სხვადასხვა ქვეყნის ინტერვენტთა და შინაგანი კონტრრევოლუციის ძალები. სამოქალაქო ომის დამთავრების შემდეგ ლენინმა დაამუშავა საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკის ძირითადი საკითხები და თვით ხელმძღვანელობდა ამ პოლიტიკის განხორციელებას, იყო ავტორი და ინიციატორი საბჭოთა ხელისუფლების ძირითადი დეკრეტებისა.

ვლადიმერ ილიას-ძე ლენინმა დაამუშავა და მეცნიერულად დაასაბუთა ჩამორჩენილი რუსეთის მოწინავე, მძლავრ სოციალისტურ სახელმწიფოდ გადაქცევის პროგრამა, რომელიც ითვალისწინებდა ჩვენს ქვეყანაში მძიმე მრეწველობის ყოველმხრივ განვითარებას, მთელი სახალხო მეურნეობის ელექტროფიცირებას, კულტურული რევოლუციის ჩატარებას და სხვ.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს მიერ დასახული სამეურნეო მშენებლობის გეგმის წარმატებით განხორციელებაში აქტიურად მონაწილეობდნენ მშრომელთა ფართო მასები. სახელმწიფო მართვა-გამგეობაში მასების მიზიდვას ლენინი თვლიდა ჩვენი პარტიის ერთ-ერთ ძირითად ამოცანად. ამიტომ იყო, რომ დიდი ლენინი მჭიდროდ იყო დაკავშირებული მასებთან, ზრდიდა მათ ნაკლოვანებებთან შეურიგებლობის, საბჭოთა სამშობლოსადმი ერთგულების, მისი დამოუკიდებლობისათვის თავგანწირვის სულისკვეთებით. ამასთან ერთად დიდი ლენინი ყურს უგდებდა მასების ხმას, სწავლობდა მათგან, ღრმად იყო დარწმუნებული მათს შემოქმედებით ძალაში.

დიდი ლენინის ბრძნული ანდერძის ცხოვრებაში გატარებამ, კომუნისტური პარტიის დაუღალავმა მოღვაწეობამ, მუშების, გლეხების, ინტელიგენციის გმირულმა შრომამ უზრუნველყვეს ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვება. სწორედ ლენინიზმის მაცოცხლებელი იდეების მეოხებით, კაპიტალიზმის მონობისაგან გათავისუფლდნენ დიდი ჩინეთისა და სხვა ქვეყნების მშრომელები, რომლებიც მტკიცედ დაადგნენ სოციალიზმის მშენებლობის გზას. ამიტომაა, რომ დიდი ლენინის სახელი მთელი მსოფლიოს მშრომელთა მშვიდობის, დემოკრატიის, ბრწყინვალე მომავლის დროშაა.

ლენინიზმის სწორუპოვარი იდეების განხორციელებამ ჯერ არნახული წარმატება მოუპოვა ჩვენს საბჭოთა სახელმწიფოს, რომელმაც უკან ჩამოიტოვა ევროპის ბევრი ქვეყანა ინდუსტრიალიზაციის, სოფლის მეურნეობის, კულტურის განვითარების საქმეში. განსაკუთრებული წარმატებები იქნა მოპოვებული კომუნისტური პარტიის XX ყრილობის შემდეგ. მთელ რიგ უმნიშვნელოვანეს ღონისძიებათა განხორციელების შედეგად კიდევ უფრო მძლავრი გახდა ჩვენი სახელმწიფო, მნიშვნელოვნად ამაღლდა საბჭოთა ადამიანების მატერიალური კეთილდღეობის დონე. ამ მიღწევებს საბჭოთა ხალხი უმადლის ლენინის მიერ შექმნილ დიად კომუნისტურ პარტიას, რომელსაც საბჭოთა სახელმწიფო მიჰყავს წინ, — კომუნიზმის გამარჯვებისაკენ.

დიდი მატჩი

მოსკოვი. (ჩვენი სპეც. კორ.). მსოფლიო ჩემპიონის მ. ბოტვინიკის ავადმყოფობის გამო XVIII პარტია 18 აპრილს შედგა.

ბოტვინიკმა, რომელიც შავებით თამაშობდა, მეორედ მიმართა ფრანგულ დაცვას, რომელიც მისი საბრძოლო არსენალის ძირითადი იარაღია. მოწინააღმდეგეებმა გაიმეორეს ამ დაცვის ის ვარიანტი, რომლის გამო თეორიული კამათი მათ ჯერ კიდევ 1954 წლის ორთაბრძოლაში დაიწყეს. მაშინ სმისლოვმა რამდენიმე საგულისხმო გამარჯვება მოიპოვა, მაგრამ ამან ბოტვინიკს ფრანგულ დაცვაზე ხელი როდი აიღებინა. ამას ცხადყოფს XVIII პარტიაც. სადებიუტო ნაწილი მსოფლიო ჩემპიონისათვის დამაკმაყოფილებლად დამთავრდა. შუა თამაშშიც ინიციატივა მის მხარეზე იყო.

რთული პოზიცია შეიქმნა მე-15 სვლის შემდეგ, როდესაც ბოტვინიკს უნდა გადაეწყვიტა თუ რომელი გეგმით ეწარმოებია თამაში: გაეცვალა მრავალი ფიგურა და ენდშპილში გადასულიყო, თუ თავი აერიდებინა თამაშის გამარტივებისათვის. ბოტვინიკმა პირველი გეგმა უკეთესად მიიჩნია და ხუთ სვლაში გაცვალა ლაზიერები, მხედრები და თითო ეტლი. პოზიცია გაირკვა მსოფლიო ჩემპიონის სასარგებლოდ.

ენდშპილში სმისლოვის წინააღმდეგ ძნელია თამაში. თვითონ ბოტვინიკმა აღიარა, რომ სმისლოვი ჯობნის მას ამ სტადიაში. მაგრამ ამჯერად ბოტვინიკმა შესანიშნავად წარმართა ბრძოლა.

მოსალოდნელი უპერსპექტივო თამაშის გამო სმისლოვმა დაფაზე სხვადასხვა ფერის კუ დატოვა, რაც საერთოდ ყაიმს ნიშნავს. მაგრამ იმის გამო, რომ დაფაზე ეტლებიც იყო, კიდევ შეიძლებოდა მოგებაზე თამაში. ბოტვინიკმა მაქსიმალურად გამოიყენა ეს გარემოება და მომხიბლავი მანევრებით გამარჯვებას მიუახლოვდა, მან ჯერ მეფის, ხოლო შემდეგ ლაზიერის ფრთაზე გამსვლელი პაიკები შექმნა. თუმცა სმისლოვმაც მიიღო ცენტრში მსგავსი პაიკები, მაგრამ ისინი შავების მეფემ საიმედოდ ჩაკეტა.

პარტია ამ დღეს არ დამთავრებულა. იგი გადაიდო მსოფლიო ჩემპიონის აშკარა უპირატესობით.

19 აპრილს საბჭოთა კავშირის ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში მოხდა ამ პარტიის დამთავრება.

სმისლოვი მძიმე პოზიციაში შეუპოვრად იცავდა თავს. ბოტვინიკმა რაკი ვერ შეძლო წინააღმდეგობის დაძლევა 62-ე სვლაზე პარტნიორს ყაიმი შესთავაზა. სმისლოვმა მიიღო წინადადება.

ამრიგად XVIII პარტიის შემდეგ მატჩის ანგარიშია 10:8 სმისლოვის სასარგებლოდ. დარჩენილ 6 პარტიაში სმისლოვს გამარჯვებისათვის სჭირდება 2,5 ქულა, ხოლო ბოტვინიკს ჩემპიონობის შენარჩუნებისათვის 4 ქულა.

ჩემპიონატი მაგიდის ჩოგბურთში

მოსკოვში, სპორტსაზოგადოება „სტროიტელის" ძალოსანთა სასახლეში ერთ კვირას გრძელდებოდა საბჭოთა კავშირის 1957 წლის პირველობა მაგიდის ჩოგბურთში.

შეჯიბრება დაიწყო გუნდური შეხვედრებით, რომელშიც მონაწილეობდნენ „ბურევესტნიკის" I და II, „ტორპედო", „კრილია სოვეტოვის", „კალევისა" და სხვა საზოგადოებათა გუნდები. ჩემპიონის საპატიო სახელისათვის მესამე წელია ფინალში ერთმანეთს ხვდებიან „სპარტაკისა" და „ჟალგირისის" ძლიერი კოლექტივები. დაძაბული ბრძოლა დამთავრდა „სპარტაკის" გამარჯვებით (ანგარიშით 11:4), რომელმაც მესამედ მოიპოვა ჩვენი ქვეყნის უძლიერესის სახელი.

ქალთა ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ საბჭოთა კავშირის 1954 წლის ჩემპიონი ბ. ბალაიშენე და ახალგაზრდა ხ. პესური. გაიმარჯვა ბ. ბალაიშენემ.

ვაჟთა ფინალში თამაშობდნენ ჩვენი ქვეყნის ოთხგზის ჩემპიონი ა. საუნორისი და ახალგაზრდა გ. გრინბერგი. ცხარე ბრძოლის შემდეგ გაიმარჯვა მოლდაველმა გ გრინბერგმა, რომელმაც პირველად მოიპოვა საბჭოთა კავშირის ჩემპიონობა.

საინტერესოდ ჩატარდა აგრეთვე წყვილთა ტურნირიც. ქალთა წყვილში გაიმარჯვეს ესტონელებმა ე. ლესტალმა და ხ. პესურამ, ვაჟთა შორის — ა. საუნორისმა და რ. პაშკიავიჩუსმა. შერეულ წყვილში ჩემპიონობა დარჩათ ბ. ბალაიშენსა და ა. საუნორისს.

მშვიდობის ველორბოლა



15 აპრილს მოსკოვიდან პრაღას მშვიდობის ველორბოლაში მონაწილეობის მისაღებად გაემგზავრა საბჭოთა სპორტსმენების გუნდი, რომელშიც შევიდა 6 ძირითადი და 2 სათადარიგო სპორტსმენი. საბჭოთა გუნდის მწვრთნელია სპორტის დამსახურებული ოსტატი და მწვრთნელი ლეონიდ შელეშნიოვი.

იტალიის ველოსიპედისტების ნაკრები გუნდის მწვრთნელი პროედი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მშვიდობის ველორბოლას. ა წ. იანვრიდან იგი ხელმძღვანელობს საუკეთესო სპორტსმენთა შერჩევას, მაგრამ როგორც ჩანს ეს არ არის იოლი საქმე, რადგან ბევრი ძლიერი ველოსიპედისტი ტოვებს მოყვარულთა რიგებს და გადადის პროფესიონალებში. ასე მაგალითად, მოყვარულთა ლიგა დატოვეს ცნობილმა სპორტსმენებმა ბრუნმა და ჩესტარმა, ამჟამად იტალიის ნაკრებში მოხვედრის კანდიდატები არიან ბერკინი, ფრანჩინი ფურლონი, კონტი და ჩიოდინი, ყველა ისინი წვრთნას გადიან სარდინიაში.

• • •

ამას წინათ პოლონეთის ველოსიპედისტებმა მოაწყვეს საკონტროლო შეჯიბრება 50 კილომეტრზე რბოლაში. საუკეთესო შედეგი აჩვენა კოვალსკიმ 1:11,23,0. მომდევნო ადგილები დაიკავეს ბედინსკიმ, ჩერნეცკიმ და ვენცკოვსკიმ.

მზადების დღეებში

რამდენიმე თვე დარჩა ახალგაზრდობისა და სტუდენტთა VI მსოფლიო ფესტივალის გახსნამდე. ამ ღირსსახსოვარი დღეებისათვის ენერგიულად ემზადებიან ჩვენი რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების მუშა და კოლმეურნე ახალგაზრდები, მოსწავლეები. სამუშაოდან თავისუფალ დროს ძალების დაუზოგავად მეცადინეობენ თვითმოქმედ წრეებში, სპორტულ სექციებში, აწყობენ შეჯიბრებებს, წესრიგში მოჰყავთ არსებული სპორტული ბაზები, აგებენ ახალ მოედნებს.

„თბილწყალხელსაწყოების" კომკავშირელებმა და ფიზკულტურელებმა ფესტივალისათვის მზადების დღეებში ტრესტის ქიმიური ლაბორატორიის ტერიტორიაზე საკუთარი ძალებით მოაწყეს სპორტმოედანი გასახდელებითა და საშხაპეებით. მათ არ ჩამორჩნენ დედაქალაქის ქალის წინდების ფაბრიკის ახალგაზრდები, რომლებმაც აქტიური მონაწილეობა მიიღეს ფაბრიკის ტერიტორიის გამწვანებაში, სარბენი ბილიკებისა და კალათბურთის მოედნის კეთილმოწყობაში, საფუძვლიანად შეაკეთეს სპორტული ბაზები სასოფლო-სამეურნეო, უცხო ენების, სახელმწიფო უნივერსიტეტისა და სხვა სასწავლებლებში.

საინტერესო ღონისძიება ჩაატარეს საგარეჯოელებმა. ისინი რამდენიმე დღეს მუშაობდნენ დახურული საჭიდაო სარბიელის მოსაწყობად, რომელიც 900 მაყურებელს დაიტევს. მათ გადაწყვეტილი აქვთ მშენებლობა დაამთავრონ ფესტივალის გახსნის დღისათვის.

უკვე ჩაატარეს თავიანთი ფესტივალები რესპუბლიკის საშუალო სკოლების, უმაღლესი სასწავლებლების, რაიონების ახალგაზრდებმა. ამ დღეებში საზეიმოდ იყო მორთული ზოოვეტერინალური ინსტიტუტისა და სახელმწიფო უნივერსიტეტის სპორტული ბაზები. სტუდენტი ახალგაზრდები გამარჯვებისათვის იბრძოდნენ სპორტის სხვადასხვა სახეობაში. ფიზკულტურელთა ნამდვილ დღესასწაულად გადაიქცა ასპინძის, ლაგოდეხის, გარეუბნის, მახარაძის, ბოლნისის, ოჩამჩირისა და სხვა რაიონების ფესტივალები. ამ ღონისძიებათა შესახებ გვწერენ ჩვენი კორესპონდენტები.

ორ დღეს გრძელდებოდა მახარაძელთა ფესტივალი, ორ დღეს იბრძოდნენ გამარჯვებისათვის რაიონის საუკეთესო სპორტსმენები. სპორტთამაშობათა მოედანზე, სექტორებზე, დარბაზებში დილიდან საღამომდე გაისმოდა გულშემატკივართა გამამხნევებელი შეძახილები — გვწერს მახარაძელი კორესპონდენტი თ. **ხალუქვაძე**.

ქ. გურგენიძე ჩოხატაურის რაიონის ფესტივალის სპორტთამაშების შესახებ გვატყობინებს. — აქ ორ დღეს გრძელდებოდა შეხვედრები ფრენბურთში, კალათბურთში, მძლეოსნობასა და სხვა სახეობებში. ერქეთის საშუალო სკოლამ გამოიყვანა ძლიერი გუნდები, რომლებმაც მოიპოვეს პირველი ადგილები.

გორის ნ. ბარათაშვილის პედინსტიტუტის პირველი ფესტივალის სპორტთამაშების მაღალ დონეზე ჩატარების შესახებ გვწერს ინსტიტუტის სტუდენტი **ა. გელაშვილი**.

იქ, სადაც ჯერ კიდევ არ ჩატარებულა რაიონული ფესტივალები, რეგულარულად ეწყობა ახალგაზრდობის მსოფლიო დღესასწაულისადმი მიძღვნილი მასობრივი შეჯიბრებები სპორტის სხვადასხვა სახეობაში. აი რას გვწერს **გ. დარდაგანიძე** წყალტუბოდან: „ფესტივალის აღსანიშნავად ამ დღეებში აქ მოეწყო შეხვედრები ფრენბურთში, კალათბურთსა და ველოსპორტში. ფრენბურთელთა შეხვედრები დამთავრდა კოლმეურნე სპორტსმენთა გამარჯვებით, სამაგიეროდ კალათბურთში უძლიერესი აღმოჩნდა მოსწავლეთა ნაკრები კოლექტივი. საგზატკეცილო ველორბოლაში პირველი ადგილი მოიპოვა მშენებელმა მუშამ გ. ოგნევმა.

ფესტივალისადმი მიძღვნილ სამტრედიელ ველოსიპედისტთა შეჯიბრებაზე გვწერს ჩვენი კორესპონდენტი **ა. იმნაძე**.

*



III მსოფლიო ახალგაზრდულ თამაშებთან დაკავშირებით გამოსული მხატვრული პლაკატი „ფეხბურთი".

III
ИГРЫ МОЛОДЕЖИ
МОСКВА
1957

იტალიისა და საფრანგეთის კალათბურთის ფედერაციები მონაწილეობას მიიღებენ მოსკოვის ტურნირში

◆

მელბურნში მიღებული გადაწყვეტილების თანახმად

ნიუ-იორკი, ბროდვეი, 233, ბატონ ფერისს

ამერიკის შეერთებული შტატებისა და საბჭოთა კავშირის მძლეოსნები არა ერთხელ შეხვედრიან ერთმანეთს საერთაშორისო შეჯიბრებებში. მაგრამ ერთმანეთთან სტუმრობა ამ ქვეყნების სპორტსმენებმა ჯერჯერობით ვერ მოახერხეს. ოლიმპიურ თამაშებზე ყოფნისას მელბურნში, საბჭოთა კავშირისა და შეერთებული შტატების მძლეოსანთა გუნდების წარმომადგენლებმა განიხილეს ამ ქვეყნების სპორტსმენთა მომავალი შეხვედრის შესაძლებლობის საკითხი და იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ასეთი შეხვედრა სასურველი იქნება.

10 აპრილს საბჭოთა კავშირის მძლეოსნობის სექციამ შეერთებული შტატების მოყვარულთა მძლეოსნობის კავშირის მდივან-ხაზინადარს ბატონ ფერისს გაუგზავნა ოფიციალური მოწვევის ბარათი. მოწვევაში ნათქვამი იყო:

> **„საბჭოთა კავშირის მძლეოსნობის სექციას განზრახული აქვს აღნიშნული სამატჩო შეხვედრის მოწყობა მოსკოვში 12, 13 და 14 ივლისს. ჩვენ შეჯიბრებაში მონაწილეობისათვის ვიწვევთ გუნდს 70 კაცის შემადგენლობით. შეხვედრის პროგრამაში მიზანშეწონილად მიგვაჩნია შევიტანოთ მძლეოსნობის ოლიმპიური სახეობები მარათონული რბენის და 50 კილომეტრზე სიარულის გარდა.**
>
> **სსრ კავშირის მძლეოსნობის სექცია მელბურნში მიღებული შეთანხმების შესაბამისად თანხმობას აცხადებს 1958 წელს შეერთებულ შტატებში გაგზავნოს თავისი გუნდი საპასუხო ვიზიტით.**
>
> **ვამთავრებთ რა წერილს, გამოვთქვამთ რწმენას, რომ ეს მეტად საინტერესო შეჯიბრება ნამდვილად ჩატარდება. პატივცემულო ბ-ნო ფერის, ჩვენ მოხარული ვიქნებით მოგესალმოთ თქვენ და ამერიკელ კოლეგებს ჩვენს მიწაზე. სსრ კავშირის მძლეოსნობის სექცია გულითად სალამს უძღვნის ამერიკელ მწვრთნელებს და სპორტსმენებს".**

საბჭოთა სპორტული საზოგადოებრიობა და სპორტის მოყვარულები მოუთმენლად ელიან ამერიკელი სპორტსმენების ჩამოსვლას. შეიძლება თამამად ითქვას, რომ სსრ კავშირისა და შეერთებული შტატების მძლეოსანთა შეხვედრა უმნიშვნელოვანესი მოვლენა იქნება მსოფლიოს სპორტის ისტორიაში.

• • •

გასულ შაბათს ბატონმა ფერისმა მოწვევის მიღებასთან დაკავშირებით ნიუ-იორკში განაცხადა, რომ მძლეოსანთა კავშირი დაინტერესებულია ამ შეხვედრის მოწყობით. მისი აზრით „არსებობს დიდი შანსები საბჭოთა წინადადების მისაღებად, თუ რასაკვირველია, ამერიკელი სპორტსმენები თავისუფალი იქნებიან სხვა შეჯიბრებებისაგან". ფერისს მხედველობაში აქვს შეერთებული შტატების მძლეოსანთა შეხვედრები ნორვეგიის, ფინეთის, დანიის, ინგლისისა და გერმანიის სპორტსმენებთან.

ქრონიკა

საქართველოს საფეხბურთო პირველობის ვადები მეორე და მესამე ჯგუფების გუნდებისათვის შეცვლილ იქნა. გათამაშება მეორე ჯგუფში დაიწყება 28 აპრილს, ხოლო მესამე ჯგუფში — 5 მაისს.

კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში ფართოდაა გაჩაღებული მზადება ახალგაზრდობის III საერთაშორისო თამაშებისათვის.

• • •

სურათზე: კორეის I და II ნაკრები გუნდების საწვრთნელი მატჩის ერთერთი მომენტი.

ტურნირი საიუბილეო იქნება

კალათბურთელთა ტურნირი მოსკოვის მესამე საერთაშორისო ამხანაგურ სპორტულ თამაშებზე ამავე დროს საიუბილეოცაა. კალათბურთის მოყვარულთა საერთაშორისო ფედერაცია ზეიმობს თავისი არსებობის 25 წლისთავს.

მოსკოვის ტურნირისადმი ინტერესი კალათბურთელებს ჯერ კიდევ მელბურნში ყოფნის დროს გაეღვიძათ. როდესაც **ფიბას** 25 წლისთავის ზეიმის მოწყობის ამბავმა ოლიმპიურ სოფელს მიაღწია, საბჭოთა გუნდის სახლისაკენ სხვადასხვა ქვეყნის კალათბურთელებმა იწყეს დენა. ყველას აინტერესებდა საიუბილეო ზეიმის დეტალები. უნდა ითქვას, რომ **ფიბას** იუბილეს დამტკიცება ფედერაციის V კონგრესზე საზეიმო ვითარებაში მოხდა. კონგრესის წევრთა დიდმა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა საბჭოთა კავშირის კალათბურთის სექციის თავმჯდომარის წინადადებას III სპორტულ თამაშებზე კალათბურთელთა ტურნირის საიუბილეოდ გამოცხადების შესახებ.

მრავალი შეკითხვა მისცეს კონგრესზე **ფიბას** გენერალურ მდივანს, საერთაშორისო ფედერაციის ერთ-ერთ ფუძემდებელს ბ-ნ ვ. ჯონსს. ჯონსმა თავის სიტყვაში აღნიშნა, რომ 1932 წლის 18 ივნისის პირველ სხდომაზე კონგრესის მუშაობაში მონაწილეობდა მხოლოდ 8 ქვეყანა. ამჟამად კი **ფიბა** 70 სახელმწიფოს აერთიანებს, მათ შორის 30-მა ერთსულოვნად გადაწყვიტა საიუბილეო ზეიმის მოსკოვში მოწყობა. მონაწილეთა რაოდენობის მიხედვით კალათბურთელთა ტურნირი ჩატარდება წრიული სისტემით ერთ ან რამდენიმე ქვეჯგუფში. ქვეჯგუფებში გამარჯვებულები შემდეგ ეტაპზე ერთმანეთს შეხვდებიან ფინალში.

მარტის შუა რიცხვებში დასავლეთ გერმანიის ქალაქ გაუტინგენში (მიუნჰენის მახლობლად) შეიკრიბა 19 ქვეყნის წარმომადგენელი. მათ უნდა განეხილათ კალათბურთში საერთაშორისო შეჯიბრებების მოწყობის საკითხი და რასაკვირველია, ყურადღების ცენტრში იყო **ფიბას** საიუბილეო ზეიმი. იტალიისა და საფრანგეთის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტებმა სკურიმ და ლესკარემ განაცხადეს, რომ მათი გუნდები მონაწილეობას მიიღებენ მოსკოვის საიუბილეო თამაშებში. იგივე აზრი გამოთქვეს საბერძნეთის წარმომადგენლებმაც.

ზონალური ტურნირი

როდესაც X ტურში კიკიანმა ცაიტნოტში უხეში შეცდომით ნაფტალინს ლაზიერი დაუსვა და პირველი დამარცხება განიცადა, ერთ-ერთმა მისმა გულშემატკივარმა თქვა:

— კაპაბლანკა ამბობდა: წაგებას ზეციდან ცოდვილ მიწაზე ჩამოვყევარ. ეს კიდეც მიხარია, მაშასადამე, ჩემს თამაშში ნაკლოვანებები არის, საფუძველი მაქვს გავაძლიერო მუშაობა. ასეთი კრიტიკული მიდგომით თავის შემოქმედებისადმი ახალგაზრდა კაპაბლანკამ მიაღწია საჭადრაკო მწვერვალებს. ამიტომ კიკიანს არ უნდა გაუტყდეს გული. მან კვლავ ენერგიულად უნდა განაგრძოს ბრძოლა.

კიკიანის მარცხი თეორიის ცოდნაში არსებული ხარვეზით აიხსნება. ფრომის დებიუტში ნიჭიერმა ჭაბუკმა არ იცოდა შავების თამაშის კარგი სისტემა. ამიტომ ამ პარტიისათვის სპეციალურად მომზადებულმა ნაფტალინმა შემტევი პოზიცია მიიღო, მაგრამ იერიში მან სუსტად ჩაატარა და კიკიანს მოგებაც კი შეეძლო, რაც მან ვერ შეამჩნია. მსგავსი რამ მოხდა ბუსლაევ-შიშოვის პარტიაშიც. ბუსლაევმა ცაიტნოტში, რომელშიც სამწუხაროდ იგი სისტემატურად იმყოფება, შიშოვს ეტლი დაუსვა.

ენერგიული სტილის მოჭადრაკეა მნაცაკანიანი. იგი ყოველგვარი მორიდების გარეშე უტევს. მაგრამ, რასაკვირველია, მის კომბინაციურ იერიშებს აქვს პოზიციური საფუძველიც. სარდაროვთან მან შეტევა მხოლოდ ცენტრის ჩაკეტვის შემდეგ დაიწყო და სწორედ ამიტომ ჰქონდა წარმატება.

16 აპრილს მოხდა გადადებული პარტიების დამთავრება. ტაიმანოვმა დიდხანს ეძება (უფრო შეცდომას ელოდა) თანაბარ მდგომარეობაში ქუხოვიცკისთან მოგების გზები, მაგრამ უშედეგოდ. 70-ე სვლაზე ტაიმანოვმა თვითონ შესთავაზა აზერბაიჯანის ჩემპიონს ყაიმი. ჰალილბეილიმ მიასნიკოვთან პაიკი ლაზიერში გაიყვანა. იმის გამო, რომ აზერბაიჯანელს უკვე ორი ლაზიერი ჰქონდა, სომხეთის ჩემპიონი დანებდა. მიასნიკოვს მაილესთან თვითონ ჰქონდა უპირატესობა, ისეთი როგორც მასთან ჰალილბეილს. მაგრამ მან ვერ შეძლო პაიკის გაყვანა და ყაიმით დაკმაყოფილდა.

ლომაიას ქუხოვიცკისთან ლაზიერების ენდშპილში პაიკი აკლდა. მაგრამ მან შეუპოვარი დაცვით მიაღწია ყაიმს. შიშოვს კალაშიანის წინააღმდეგ უკეთესი დაბოლოება ჰქონდა, მაგრამ იგი წააწყდა ერევნელი მოჭადრაკის დიდ წინააღმდეგობას და პარტია ყაიმით დამთავრდა. იმის გამო, რომ 90-ე სვლაზე მეტ ხანს გაგრძელდა ბლაგიძე-სარქისიანის პარტია, რომელიც ამ დღესაც დაუმთავრებელი დარჩა, არ გათამაშებულა კალაშიან-ბლაგიძისა და სარქისიან-ბაგიროვის პარტიები.

ამრიგად X ტურის შემდეგ სატურნირო ცხრილში ასეთი მდგომარეობაა: მ. ტაიმანოვს აქვს 8,5 ქულა, ე. მნაცაკანიანს — 8 ქულა, მ. არონინს — 7,5, თ. კიკიანს — 6,5, ს. ქუხოვიცკისა და ს. ჰალილბეილის — 6-6 ქულა, მ. შიშოვს — 5,5 და ა. შ.

ამით დამთავრდა შეჯიბრების პირველი ნახევარი. სასიხარულოა, რომ ტურნირში წარმატებით თამაშობენ ახალგაზრდები. განსაკუთრებით ეს შეეხება 19 წლის ე. მნაცაკანიანსა და 20 წლის თ. კიკიანს. მნაცაკანიანი შემტევი სტილის მოჭადრაკეა, ხოლო კიკიანი პოზიციური თამაშის მოყვარულია. ორივე მოჭადრაკე კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს.

საქართველოს მოჭადრაკეებმა წარუმატებლად დაიწყეს შეჯიბრება, მაგრამ უკანასკნელ ტურებში შიშოვმა და ბლაგიძემ გამოასწორეს მდგომარეობა. მათ, ისე როგორც კიკიანს, აქვთ შესაძლებლობა მოხვდნენ ნახევარფინალში.

რევაზ შარაბიძის ოთხი პირველი ადგილი

დამთავრდა საქართველოს პირად-გუნდური ჩემპიონატი სპორტულ ტანვარჯიშში ცალკეულ იარაღებზე.

შეჯიბრების ბოლო დღეს იარაღებზე გამოდიოდნენ ოსტატი ვაჟები, რომლებიც ისევე, როგორც ქალები, მხოლოდ ნებისმიერი პროგრამით იყვნენ წარმოდგენილი.

ვინაიდან ოსტატები თავისუფალი იყვნენ სავალდებულო ვარჯიშების „მძიმე ტვირთისაგან", მთელი მათი ყურადღება და მონდომება კონცენტრირებულ იქნა ნებისმიერ კომბინაციებზე, მაგრამ აქ დაწესებული იყო ნორმა — ექვსჭიდის ჯამში 51 ქულა, იარაღებზე — 9,2 ქულა, რისი შესრულების გარეშეც ტანმოვარჯიშე პირადი ჩათვლიდან ავტომატურად ითიშებოდა და მხოლოდ გუნდურ ჩათვლაში რჩებოდა.

ეს მინიმუმი (51 ქულა) ოსტატ ვაჟთა შორის შეასრულეს მხოლოდ რ. შარაბიძემ („დინამო"), რ. კაჭახიძემ („დინამო"), ვ. კულუმბეგაშვილმა („სპარტაკი"), პ. მელცოვმა (თბილისის საოლქო სპორტული კლუბი), ნ. მაკალათიამ (თბილისის განათლების განყოფილება), ა. ნარიმანოვმა („ბურევესტნიკი") და ი. ბალიაურმა („ბურევესტნიკი") და ამიტომ ცალკეულ იარაღებზე ადგილების განაწილების უფლებაც მხოლოდ მათ მიიღეს. მაგალითად, „ბურევესტნიკის" წარმომადგენელმა უ. ვარდიაშვილმა კარგად შეასრულა ბჯენითი ხტომა და იმდენივე ქულა მიიღო, რამდენიც ჩემპიონმა (რ. შარაბიძემ) — 9.3 მაგრამ საბოლოოდ ვარდიაშვილს სულ 49,65 ქულა აღმოაჩნდა და მისი შედეგი ხტომაში საპრიზო ადგილების განაწილების დროს მხედველობაში არ იქნა მიღებული.

9,2 ქულის ლიმიტის გამო „დაზარალებული" აღმოჩნდნენ ოსტატები თავისუფალ ვარჯიშში. აქ, როგორც ყოველთვის, ლამაზი, ტემპიანი კომბინაცია წარმოადგინა კაჭახიძემ, რომელსაც იგი დიდი ტემპერამენტით, თითქმის აზარტით ასრულებს. 9,3 ქულით დინამოელმა მოიპოვა რესპუბლიკის ჩემპიონის წოდება. მაკალათიას ვარჯიშში მსაჯებმა შეაფასეს 9,1 ქულით, ხოლო შარაბიძესი — 9,05 ქულით. ამიტომ მეორე და მესამე ადგილები ამ სახეობაში ვაკანტური დარჩა მომავალ წლამდე

ბჯენით ხტომებში მეორე ცდის შესრულებამდე ძნელი იყო გამარჯვებულის გამოცნობა. შარაბიძეს პირველი ნახტომი გაუფუჭდა და მის დარჩენილ ერთ ცდაზე იყო დამოკიდებული, შეძლებდა თუ არა იგი მეტოქეების გასწრებას. ოსტატის მეორე ნახტომი სრულფასოვანი გამოდგა და როცა მსაჯთა ბრიგადის ხელმძღვანელმა გამოითვალა საშუალო ქულა, მან 9,3 აღმოაჩნდა. ეს საკმარისი იყო ჩემპიონის წოდების მისაღებად ბჯენით ხტომებში. მეორე ადგილი მოეკუთვნა ნარიმანოვს — 9,2

მოსალოდნელი იყო, რომ ბრძოლა პირველობისათვის ორძელზე გაიმართებოდა შარაბიძეს, კულუმბეგაშვილსა და კაჭახიძეს შორის. მაგრამ კაჭახიძე ყველასათვის მოულოდნელად გამოაკლდა ამ სამეულს — მან უხეში შეცდომები დაუშვა და დაბალი შეფასება მიიღო. სამაგიეროდ შარაბიძემ არ უღალატა თავის ტრადიციას ორძელზე ვარჯიშში, სადაც იგი აშკარად მაღლა იდგა თავის მოწინააღმდეგეებზე. 9,45 ქულით შარაბიძე ჩემპიონი გახდა ორძელზეც. კულუმბეგაშვილმა 9,2 ქულით დაიკავა მეორე ადგილი, ახალგაზრდა ტანმოვარჯიშე მაკალათიამ ამდენივე ქულით — მესამე (იარაღზე ქულათა თანაფარდობისას უპირატესობა განისაზღვრება მრავალჭიდში დაგროვილი ქულათა ჯამით).

მესამე იარაღი, რომელზეც შარაბიძემ მოიგო ჩემპიონობა, იყო რგოლები. აქაც იგრძნობოდა მისი დახვეწილი ოსტატობა, ყოველი ილეთის ზუსტი შესრულება. მისი შეფასებაა 9,3 ქულა. მეორე ადგილი ერგო კულუმბეგაშვილს, მესამე — ბალიაურს.

მაგრამ ჩემპიონობა სამ იარაღზე ცოტა აღმოჩნდა შარაბიძისათვის. მან კიდევ ერთი სახეობაც მოიგო — ღერძი. საერთოდ, ოსტატმა ვაჟებმა ყველაზე მაღალი შეფასებები ღერძზე მიიღეს, მათგან საუკეთესო იყო შარაბიძისა — 9,55. ასევე კარგი იყო ნარიმანოვის ვარჯიში — 9,45 ქულა, რომელმაც 0,1 ქულით გაუსწრო მესამე ადგილზე გასულ კულუმბეგაშვილს.

შეჯიბრება ტაიჭზე დამთავრდა ნარიმანოვის გამარჯვებით — 9,35 ქულა. ბალიაური მეორე ადგილზეა — 9,2 ქულა.

მრავალჭიდის ჯამში საუკეთესო იყო შარაბიძე — 55,7 ქულა. მომდევნო ადგილებზე არიან კულუმბეგაშვილი (54,9) და ნარიმანოვი (53,6).

საერთო გუნდურ ჩათვლაში გამარჯვება მოიპოვა „ბურევესტნიკის" პირველმა გუნდმა, მეორე ადგილი წილად ხვდა „დინამოს" პირველ გუნდს, მესამე — „ბურევესტნიკის" მეორე კოლექტივს.

დიდ წარმატებას მიაღწიეს განათლების განყოფილების ნორჩმა ტანმოვარჯიშეებმა, რომლებიც შეჯიბრებაში კონკურსგარეშე მონაწილეობდნენ. საერთო ჩათვლაში ისინი მხოლოდ „ბურევესტნიკის" პირველ გუნდს ჩამორჩნენ, ხოლო ვაჟთა შორის კი ყველაზე უკეთესი მაჩვენებელი ჰქონდათ.

ჩემპიონატი დამთავრდა. ახლა, როცა სამსაჯო ოქმებში უკანასკნელი შეფასება ჩაიწერა, შეიძლება ორიოდე სიტყვა ითქვას განვლილი შეჯიბრების შესახებ.

ჩვენ ამ შემთხვევაში არ შევუდგებით იმის განხილვას, თუ ვინ ვის მოუგო და რამდენით. რესპუბლიკის სპორტული საზოგადოებრიობა უფრო იმაშია დაინტერესებული, თუ როგორ იზრდება ჩვენი ტანმოვარჯიშეების კლასი, როგორია წამყვან ოსტატთა მომზადების დონე, რა რეზერვები გაგვაჩნია.

პირველი, ყველაზე უფრო შესამჩნევი იყო ის, რომ ორგანიზაციებსა და მწვრთნელებს ნაადრევად გამოჰყავთ სპორტსმენები მაღალ თანრიგებზე. უბრალო თვალიც კი ნათლად შეამჩნევდა, რომ ტანმოვარჯიშე, რომელიც ცდილობდა შეესრულებინა პირველი თანრიგი, თავისი მომზადებით ფაქტიურად მეორეთანრიგოსანია. ზოგს სათანადოდ ჯერ პირველი თანრიგიც არა აქვს დამუშავებული და მწვრთნელს იგი ოსტატობაზე გამოჰყავს. თანრიგის ერთხელ ჩაბარება არ ნიშნავს მის სრულყოფილად ათვისებას და არც ზემო კატეგორიაში გადასვლის საფუძველს იძლევა. ტანმოვარჯიშე ჯერ უნდა დაეუფლოს საერთო სპორტულ კლასს, გაიაროს შესაბამისი სკოლა, აითვისოს იარაღზე ვარჯიშის, მოძრაობის კულტურა და შემდეგ გამოვიდეს შეჯიბრებაზე. განვლილ ჩემპიონატში, როგორც პირველ თანრიგში, ისე ოსტატებში შესამჩნევი იყო, რომ ზოგიერთი ტანმოვარჯიშე არა თუ ნაერთს ან კომბინაციას, ელემენტსაც ვერ ასრულებდა ხეირიანად. რა თქმა უნდა, შეფასებებიც შესაბამისი იყო: ზოგიერთი შესრულებული ვარჯიშის შემდეგ მსაჯები მხრებს იჩეჩავდნენ და გაჭირვებით გამოჰყავდათ შეფასება 4-დან 6-მდე.

ჩვენ არა ვართ იმის მომხრე, რომ ტანმოვარჯიშე გაიყინოს ერთ თანრიგზე და შეაბერდეს მას. ახალი თანრიგების ათვისება საჭიროა სისტემატურად, განუწყვეტლივ ხდებოდეს, მაგრამ ზევითა კატეგორიაში გადასვლა არ უნდა უსწრებდეს სპორტსმენის პროგრესს, იგი არ უნდა შეეჩვიოს ვარჯიშის შესრულებას გაჭირვებით, ზედმეტი დაძაბვით. ეს მავნე ჩვევა შემდგომში ძნელი აღმოსაფხვრელია.

მეორე, რაც შესამჩნევი იყო შეჯიბრებაზე — ოსტატ ვაჟებს ერთობ სტანდარტული, ერთფეროვანი ნებისმიერი კომბინაციები ჰქონდათ დამუშავებული. ზოგჯერ მოსაწყენიც იყო იმის ცქერა, რომ 4-5 ტანმოვარჯიშე ზედიზედ აკეთებდა თითქმის ერთიდაიგივე ვარჯიშს.

კიდევ ერთი შენიშვნა: ზოგიერთ ტანმოვარჯიშეს აკლია საერთო ფიზიკური მომზადება, ნებელობითი თვისებები. ამის გამოა, რომ მათ პირველ იარაღებზე კარგი ქულები აქვთ მეხუთე და მეექვსე იარაღებზე კი შეფასება საგრძნობლად კლებულობს. ტანმოვარჯიშეს უნდა შეეძლოს შეჯიბრება თავიდან ბოლომდე თანაბარი სიძლიერით ჩაატაროს.

ყოველი განვლილი შეჯიბრება სპორტსმენებისა და მწვრთნელებისათვის გაკვეთილს უნდა წარმოადგენდეს. საჭიროა ყველა ნაკლოვანების, თვითეული შეცდომის ანალიზი, მათი შესწავლა და, რაც მთავარია, გამოსწორება.

სწორედ ასე უნდა იქნას შესწავლილი რესპუბლიკის 1957 წლის პირად-გუნდური პირველობა ცალკეულ იარაღებზე ტანვარჯიშში.

ბ. ქორქია

• • •

სურათებზე: საქართველოს 1957 წლის ჩემპიონები სპორტულ ტანვარჯიშში ცალკეულ იარაღებზე. მარცხნივ: რ. შარაბიძე, ა. ნარიმანოვი, რ. კაჭახიძე, მარჯვნივ— რ. კაჭახიძე ასრულებს ხალტოს გამართული ტანით ორძელზე.

*



საქართველოს 1957 წლის პირად-გუნდური პირველობა სპორტულ ტანვარჯიშში. მთავარი მსაჯი, შეჯიბრების კომენდანტი, მსაჯები, მწვრთნელები თავშეყრილი არიან „ავადმყოფ" იარაღთან.

სიტყვამ მოიტანა და უნდა ითქვას, რომ ამ „ავადმყოფობას" ქრონიკული ხასიათი აქვს. ჩვენი წარმოებების მიერ დამზადებული პროდუქცია ისეთია, რომ ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. ქალთა ვარჯიშში ნაირსიმაღლის ორძელზე ერთი საღამოს განმავლობაში გატყდა... 5 ძელი. შეჯიბრების ორგანიზატორები ვერ ასდიოდნენ ძელების ცვლას, საწყობი დაიცალა.

კარგი იქნებოდა დარბაზში მსხდარიყვნენ ისინი, ვინც ამზადებს ამ ძელებს — დირექტორი, ოსტატი და წუნმდებელი. საკუთარი ნაწარმის ხარისხი საკუთარი თვალით უნდა ნახო საქმეში, ეგებ მაშინ გაწითლდე.

სპორტულ საზოგადოებებში

◆

„ლოკომოტივი"

თბილისში მოეწყო სპორტსაზოგადოება „ლოკომოტივის" ამიერკავკასიის რკინიგზის საგზაო საბჭოს პირად-გუნდური პირველობა ძალოსნობაში. გამარჯვებისათვის იბრძოდნენ სოხუმის, სამტრედიის, ერევნის, თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტისა და სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის ძალოსნები. სრულიად დაკომპლექტებული გუნდები წარმოადგინეს ინსტიტუტმა, ერევნისა და თბილისის რაისაბჭოებმა.

მჩატე წონაში პირველი ადგილი დაიკავა ლ. ნაციაშვილმა (ინსტიტუტის გუნდი) ქვემსუბუქ წონაში გაიმარჯვა მისმა თანაგუნდელმა ლ. ზაქარიანმა, რომელმაც აჭიმვაში საგზაო საბჭოს ახალი რეკორდი დაამყარა. მსუბუქ წონაში უძლიერესი აღმოჩნდა ერევნელი რ. გალუსტიანი, ნახევარსაშუალო წონაში პირველი იყო . ალბაროვი (ინსტიტუტის გუნდი). განსაკუთრებით წარმატება ხვდა წილად სტუდენტ გ. მიმინოშვილს (საშუალო წონა), რომელმაც საგზაო საბჭოს ორი ახალი რეკორდი დაამყარა, აკვრაში — 140 კგ და სამჭიდში 352,5 კგ. ქვემძიმე წონაში პირველობდა ვ. საფაროვი (ინსტიტუტი). მან შეიტანა შესწორება რეკორდების ცხრილში — აჭიმა 102 კგ. მძიმე წონაში გაიმარჯვა გ. კვინიკაძემ 85 კგ.

გუნდურ ჩათვლაში პირველი ადგილი წილად ხვდა თბილისის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის კოლექტივს.

ა. ბარნოვი

ექვსი ბურთი

თბილისი. „ბურევესტნიკის" სტადიონი. 20 აპრილი.

ოსკ (თბილისი) — „ნეფტიანიკი" (უფა) — 6:0 (2:0).

ოსკ — ივანოვი, ჭანჭალეიშვილი, თორაძე, კვირკველია, ხუნდაძე, სიჭინავა, მიქაძე, ნორაკიძე, მელაშვილი, კურტანიძე, ბეგლარიანი.

„ნეფტიანიკი" — გუბინი, კროხალევი, კუზინი, შევლიაკოვი, ლაპტევი, ტემჩენკო, მუკსიმოვი, ისუპოვი, ნიკიტინი, ბაიშჩევი, ხემდიანოვი.

მსაჯი დ. საფაროვი (ციროვაბადი).

თბილისის ოსკ-სა და უფის „ნეფტიანიკის" შედარება საერთო სიძლიერით არ შეიძლება. ამ გუნდების განვლილი მატჩის პირველ ნახევარში თბილისელები თავიანთ შესაძლებლობაზე გაცილებით დაბლა თამაშობდნენ — კომბინაციებს არა ჰქონდა დამთავრებული სახე, ბურთი უმიზნოდ „დასეირნობდა" ფლანგიდან ფლანგზე.

მხოლოდ ტაიმის დასასრულს შეძლეს არმიელებმა ანგარიშის გახსნა როცა ბეგლარიანმა საჯარიმო დარტყმიდან ბურთი ნორაკიძეს მიაწოდა, ხოლო ამ უკანასკნელმა იგი მეკარეს გადაუგდო თავს ზემოთ — 1:0. 1 წუთის შემდეგ მიქაძემ კუთხური საჯარიმო დარტყმიდან გათამაშებული ბურთი კარში გაგზავნა — 2:0.

მეორე ტაიმი თბილისელებმა შედარებით უკეთესად ჩაატარეს, იგრძნობოდა მეტი კოლექტიურობა, მეტი მონდომება, ამასთან, „ნეფტიანიკის" მოთამაშეები აშკარად ვერ ერკვეოდნენ მინდორზე შექმნილ ვითარებაში და უგეგმოდ ეწინააღმდეგებოდნენ მასპინძლებს. მე-10 წუთზე მარცხენა ფრთიდან მოწოდებულ იქნა კუთხური საჯარიმო, რომელიც თავით მიიღო თორაძემ და გაიტანა ბადეში — 3:0.

შემდეგ „ნეფტიანიკის" მეკარემ სამჯერ ზედიზედ გამოიღო ბურთი კარიდან. ჯერ ისევ თორაძემ გაიტანა იგი დაბალ კუთხეში, შემდეგ ხუნდაძემ შორი მანძილიდან „ცხრიანში" დაარტყა ძლიერად. ბოლოს კი მიქაძე-ნორაკიძის კომბინაცია მელაშვილმა დაამთავრა გოლით.

მატჩი მოიგო თბილისის საოლქო სპორტული კლუბის გუნდმა ანგარიშით 6:0.

ბ. მესხიშვილი



III მსოფლიო ახალგაზრდულ თამაშებთან დაკავშირებით გამოსული მხატვრული პლაკატი „მძლეოსნობა“.

ქუთაისელებმა მოიგეს მატჩი

ამას წინათ ქუთაისის სახელმწიფო ფილარმონიის შენობაში გაიმართა ადგილობრივი და სოხუმელი სპორტსმენების სამატჩო შეხვედრა კრივში. უმჩატეს წონაში პირველი გამარჯვება მოუტანა თავის გუნდს ქუთაისელმა ნ. შალიკიანმა. მჩატე წონის მოკრივეების კვირკველიას (სოხუმი) და გონგაძის (ქუთაისი) შეხვედრა დამთავრდა პირველის გამარჯვებით. ქვემსუბუქ წონაში ქუთაისელმა თიკანაძემ დაამარცხა თავისი მოწინააღმდეგე. შეხვედრები მომდევნო ორ წონით კატეგორიაში ქუთაისელთა გამარჯვებით აღინიშნა. დ. გურეშიძემ დაამარცხა ლ. სიდოროპულო, ხოლო თ. გუჯაბიძემ — გ. მიქაელიანი. მეორე საშუალო წონაში გამოცდილმა დ. ჭობალიამ მეორე გამარჯვება მოუტანა სოხუმის გუნდს. სოხუმელმა გ. ფურსენკომ დაამარცხა ქუთაისელი ზ. ლომიძე. ლ. კერესელიძემ და გ. ესაულოვმა (ორივე ქუთაისიდან) მოუგეს ბრძოლა ნ. ზაპულიანს და ი. თელიდის. მძიმე წონის ქუთაისელმა გ. სულაბერიძემ დაამარცხა სოხუმელი თუმანიანი. გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს ქუთაისელმა მოკრივეებმა.

უნდა ავღნიშნოთ, რომ ამ ტრადიციულ შეჯიბრებისათვის სუსტად იყო მომზადებული სოხუმის გუნდი. ფიზკულტურის ქუთაისის საქალაქო კომიტეტმა შეჯიბრება ორგანიზებულად ჩაატარა.

ბ. მელაძე,
შეჯიბრების მთავარი მსაჯი.

თბილისის „ბურევესტნიკის“ ქალთა გუნდის შეხვედრები საკავშირო ჩემპიონატში

მეორე წრის პირველ ტურს თბილისის „ბურევესტნიკის“ კალათბურთელ ქალთა გუნდი ჩაატარებს კიევში. 23 მაისს თბილისელები შეხვდებიან მოსკოვის „სტროიტელს“. 24 მაისს — მოსკოვის „მეტალურგს“, 25 მაისს — ტარტუს კალევს, 27 მაისს — რიგის „დაუგავას“, 28 მაისს— კიევის „დინამოს“.

მეორე წრის მეორე ტური გაიმართება მოსკოვში. თბილისელები 26 ივნისს შეხვდებიან მოსკოვის „დინამოს“, 27 ივნისს — ლენინგრადის ლეტის, 28 ივნისს — ლენინგრადის „ბურევესტნიკს“, 30 ივნისს — მოსკოვის მაის, 1 ივლისს — კაუნასის „ჟალგირისს“, 2 ივლისს — დონის როსტოვის „ბურევესტნიკს“.

ყოველ მხრიდან

განზრახულია ფეხბურთში ევროპის პირველობის ჩატარება
ასე ვრცელდება ამერიკული ცხოვრების წესები
110 რაუნდიანმა ბრძოლამ 7 საათსა და 19 წუთს გასტანა

პირობებში ვერ შეთანხმდნენ

ჰელსინკში გაიმართა ფეხბურთის ასოციაციის ევროპის კავშირის აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა, რომლის პროგრამაში იყო ევროპის პირველობის მოწყობა ეროვნულ ნაკრებ გუნდებს შორის. სხდომის მონაწილენი, რომლებმაც მოიწონეს ჩემპიონატის ჩატარების იდეა, ვერ შეთანხმდნენ პირობებში.

ყველაზე კონკრეტული წინადადებები წამოაყენეს უნგრელებმა და ფრანგებმა. გუსტავ შებეშის (უნგრეთი) აზრით ევროპის 32 გუნდი უნდა დაიყოს ოთხ ჯგუფად. ყოველ ჯგუფში თამაშები ჩატარდება ოლიმპიური სისტემით. ჯგუფებში პირველ ადგილზე გამოსული გუნდები ჩაატარებენ გამარჯვებულთა ტურნირს.

საფრანგეთის წარმომადგენელმა ასევე წამოაყენა ევროპის გუნდების ოთხ ჯგუფად დაყოფის იდეა, მაგრამ მისი აზრით ამ ჯგუფებში უპირატესობა უნდა მიენიჭოს იმ ორ გუნდს, რომლებმაც 1954 წლის მსოფლიო პირველობაში უკეთესი შედეგები მოიპოვეს.

აღმასრულებელმა კომიტეტმა ეროვნულ ფედერაციებს მიმართა თხოვნით, წარმოადგინონ 28 ივნისამდე წერილობითი წინადადება, რომელიც შემდეგ განიხილება აღმასრულებელი კომიტეტის მორიგ სესიაზე სტოკჰოლმში.

გაისმის კვნესა...

ისინი, რომლებიც თავიანთ თავს თავმომწონედ უწოდებენ ჩხუბისთავებს, მე-12 ამერიკული ავიაციის ფეხბურთელთა გუნდის წევრები არიან. ეს გუნდი დასავლეთ გერმანიაში, რამსტეინის მიდამოებში, ატარებს თამაშებს და ყოველ შაბათობით ადგილობრივ ახალგაზრდებს აცნობს ამერიკული ცხოვრების წესებს, ეწევიან თავიანთი „ნაციონალური სპორტის“ დემონსტრაციას. უხეშობასა და უწესრიგობაზე აგებული ეს თამაში დასავლეთ გერმანიის ერთ-ერთმა ჟურნალისტმა ასე დაახასიათა:

„ბურთისათვის იბრძვის 22 კაცი, 11-11 თვითეული გუნდიდან. მათ 40 ფეხბურთელი ელის რეზერვში, რათა შესცვალოს დაზარალებული მოთამაშეები. მარცხიანი შემთხვევები კი ძალიან ხშირია, რადგან მოთამაშეები ელემენტარულ ნორმებსაც არ იცავენ. მთავარია ბურთის გატანა კარში. ამ მიზნის მისაღწევად ისინი ყველა ხერხს მიმართავენ — ფეხის დადებას, სილის გარტყმას.

თამაშის დაწყებისას ორივე გუნდის მოთამაშეები ერთმანეთზე სამტროდ მისული ჯიხვებივით თავჩაქინდრული დასცქერიან ბურთს. გაისმის მსაჯის სასტვენის ხმა და 22 მოთამაშე ღრიალით ეძგერება ერთმანეთს. იწყება მიწაზე გორვა, ფართხალი, კვნესა. თუ ასეთი შეჯახების შემდეგ მოიერიშე გუნდს 10 მეტრზე არ ექნება ბურთი გატანილი, კარისაკენ, მას მექანიკურად გადასცემენ დამცველ გუნდს და საშინელება თავიდან იწყება. მაყურებელთა რიგებში მსხდარი თმააჩოჩილი ახალგაზრდა ბიჭები და გოგონები პირზე ხმის გამაძლიერებელ აპარატებს იდებენ და ფანატიკურად გაჰკივიან მოთამაშეთა გამაღიზიანებელ სიტყვებს: „აბა ჯონი, მარდად, არ შეარჩინო, ჩასცხე მუცელში შენი ჩაჩქანი!“ და გაშმაგებული მოთამაშეები შეუწყნარებლად, უმოწყალოდ ასახიჩრებენ ერთმანეთს“. ასე ვრცელდება დასავლეთ გერმანიაში ამერიკული ცხოვრების წესები.

ყველაზე ხანმოკლე, ყველაზე ხანგრძლივი

ეს მოხდა 1928 წელს. რინგზე გამოვიდა ორი სპორტსმენი ალ ფორმენი და რუბი ლევონი. გაისმა გონგის ხმა და მოწინააღმდეგენი იკვეთნენ ერთმანეთს. 3 უსწრაფესი დარტყმა და ლევონი მიწაზე გაიშხლართა. მსაჯის თვლაზე იგი არ შერხეულა. 11,5 წამის შემდეგ ალ ფორმენს გამარჯვება მიენიჭა.

... 1855 წელს მელბურნში (ავსტრალია) უხელთათმანო ბრძოლაში ერთმანეთს შეხვდნენ ჯემს კელი და ჯონათან სმიტი. 7 საათისა და 15 წუთის განმავლობაში ურტყამდნენ მოწინააღმდეგენი ერთმანეთს, მაგრამ ვერცერთმა მათგანმა ვერ შესძლო გამარჯვების მოპოვება. ბრძოლა დამთავრდა უშედეგოდ.

1893 წელს ქალაქ ახალ ორლეანში (აშშ) ჩატარდა შეჯიბრება კრივში ბოუენსსა და ბოურკს შორის. 110 რაუნდიანმა ორთაბრძოლამ 7 საათსა და 19 წუთს გასტანა. გამოცდილი მსაჯებიც კი უძლურნი იყვნენ უპირატესობა რომელიმე სპორტსმენისათვის მიენიჭებინათ. შეხვედრა დამთავრდა ფრედ.

რეკორდები?!

ჟურნალმა „ლიდე მეგეზინმა“ გამოაქვეყნა საინტერესო ცნობა. ამერიკელმა სტუდენტმა გადაყლაპა 80 ცოცხალი ლიფსიტა — დამყარებული იქნა კიდევ ერთი მსოფლიო რეკორდი. მიჩიგანის შტატის უნივერსიტეტის სტუდენტი ლამბერი ყინულზე იჯდა ზუსტად 5 საათს — ლამბერს ეს სიცოცხლის ფასად დაუჯდა. ხმამაღალი სიცილის მსოფლიო რეკორდის ზღვარმა ამერიკაში მიაღწია 78 წუთსა და 11 წამს. ჰარვარდელმა პროფესორმა რეკორდის დამყარების თავისებური გზა მონახა — შეჭამა საკუთარი ხალათი, რომელიც სიმჟავეში გახსნა, გაანეიტრალა და პურთან ერთად გემრიელად შეექცა.

როგორ გადავიღოთ სპორტული მომენტები

ყოველდღიურად იზრდება ფოტომოყვარულთა რიცხვი. ისინი არა მარტო პირადი სიამოვნებისათვის მისდევენ ამ საქმეს, არამედ მნიშვნელოვან მომსახურებას უწევენ მეცნიერებას, ტექნიკას, სოფლის მეურნეობას, ხელოვნებას, სპორტს.

ახალგაზრდა ფოტომოყვარულის ასე ვთქვათ, „მტკივნეულ“ ადგილს წარმოადგენს სპორტულად საინტერესო მომენტების აღბეჭდვა, რაც გარკვეულ სიძნელეებთან და მათ აუცილებელ ცოდნასთანაა დაკავშირებული. ჩვენ ვერ მივუთითებთ იმაზე, თუ როგორ შეიძლება გამოსახულების შედარებით მხატვრულად მიღება, რადგან ფოტოგრაფია არ არის დადგენილი წესდების ბრმა შესრულება. ყოველ ფოტომოყვარულს დასახელებული თემის თავისებური გადაწყვეტა აქვს, ამიტომ გვინდა მათ გავაცნოთ ზოგიერთი აუცილებელი პირობა სპორტულად საინტერესო მომენტების გადასაღებად.

სპორტული დინამიკა სურათზე ისე უნდა იყოს აღბეჭდილი, რომ იგი მკვეთრად გამოხატავდეს სწრაფ მოძრაობას, თამაშის მომენტს. უმეტეს შემთხვევაში შეჯიბრებები მიმდინარეობს დიდ ტერიტორიაზე, ამიტომ ძნელია განსაზღვრა, მაგალითად, ფეხბურთის თამაშის დროს, თუ სად ან როდის შეიქმნება საინტერესო მომენტი. ამიტომ გადასაღებად საჭიროა მოვნახოთ ერთი ადგილი და ვიყოთ იქ ვიდრე ახლომდებარე მონაკვეთზე არ ჩატარდება საინტერესო კომბინაცია. ამ დროისათვის აპარატი უნდა იყოს მზად, ისე, რომ საჭირო მომენტში რჩებოდეს მხოლოდ რაკეტზე თითის დაჭერა. ფოკუსირებაც კი წინასწარ უნდა მოხდეს ამა თუ იმ საგანზე და სიმკვეთრის უზრუნველყოფა ვაწარმოოთ ღრმა დიაფრაგმირების საშუალებით. მოხერხებულად არჩეული წერტილი, სურათის კომპოზიციურად შედგენის განსაზღვრა, დროულად გადაღება — ეს ფაქტორები მნიშვნელოვნად უზრუნველყოფს სურათის დამაკმაყოფილებელ შედეგს.

მოძრავი ობიექტის გადასაღებად აუცილებელია ისეთი მცირე ექსპოზიცია, რომ უზრუნველვყოთ სრული უმოძრაობა, სტაბილურობა. ე. ი. გადასაღებმა საგანმა ვერ მოასწროს გადაადგილება. რაც უფრო სწრაფია მოძრაობა მით უფრო ხანმოკლე უნდა იყოს ყოვნა. გადაღებისას ყოვნის ხანგრძლივობაზე მოქმედებს სიშორე ობიექტსა და აპარატს შორის. რაც უფრო მცირეა მანძილი მით ხანმოკლე უნდა იყოს ყოვნა. ასევე საჭიროა გადასაღები კუთხის განსაზღვრა. რაც უფრო დიდია კუთხე, მით ხანმოკლე ყოვნაა საჭირო.

სპორტული მომენტების გადასაღებად აუცილებელია მაღალი მგრძნობიარობის ფირი და კარგი განათება, ამიტომ სასურველია გადაღება ვაწარმოოთ მზიან ამინდში. მაღალი მგრძნობიარობის ფირის და კაშკაშა სინათლის დროს შეიძლება შევამციროთ ექსპოზიცია ან ობიექტივის ძლიერი დიაფრაგმირება, რაც უზრუნველყოფს სურათის სიმკვეთრეს.

იმპულსი-ნათურა („ელვა“) საშუალებას იძლევა ყოველგვარი განათების პირობებში ვაწარმოოთ გადაღება. მას აქვს განათების არაჩვეულებრივი სისწრაფე. „ელვის“ დახმარებით ჩვენ საშუალება გვაქვს შეჯიბრება გადავიღოთ ოთახში, სუსტი სინათლის დროს.

სპორტის ზამთრის სახეობებისა და მაღალმთიანი გადაღებებისას უნდა გავითვალისწინოთ სინათლის სხივის არეკვლა და ულტრაიისფე სხივების ჭარბი რაოდენობა. ას პირობებში მნიშვნელოვნად მცირდ ბა ექსპოზიცია და დიაფრაგმა, ჩრდ ლებისა და ღრუბლების გამოსახატ ვად კი აუცილებელი ხდება № შუქფილტრის ხმარება.

სპორტული მომენტების გადასაღ ბად ყურადღება უნდა მიექცეს ა რატს. იგი უნდა იყოს პორტატულ სწრაფი და მოხერხებული. ამ პირ ბებს პასუხობენ: „ზორკი“, „კიევ „ფედი“ და „ზენიტი“.

გ. თიკანაძე

სასარგებლო სიცრუე

ტანვარჯიშში ოლიმპიური თამაშების აბსოლუტური ჩემპიონის ბედი სულ რამდენიმე სპორტსმენს შორის ბრძოლაში წყდებოდა. მათ შორის ყველაზე კარგი შანსები ჰქონდათ ჩუკარინსა და იაპონელ ონოს.

როდესაც ვიქტორ ჩუკარინი მრავალჭიდის უკანასკნელი სახეობის (თავისუფალი ვარჯიში) შესასრულებლად მოემზადა, იაპონელს შეჯიბრება უკვე დამთავრებული ჰქონდა. ახლა ყველაფერი დამოკიდებული იყო ვიქტორზე.

— რამდენი ქულაა საჭირო, რომ ონოსთან ერთად გავიყო პირველი ადგილი? იკითხა ჩუკარინმა ვარჯიშის წინ.

— 9,55 ქულა, — უპასუხა, მას მწვრთნელმა.

მართალია, ჩუკარინისათვის ეს შეფასება მაინცდამაინც სახარბიელო და მიუწვდომელი არ იყო, მაგრამ იმ დაძაბულ წუთებში, თამამად არაფრის თქმა შეიძლებოდა. მაგრამ გასაოცარი ადამიანია ვიქტორი თავისი რკინის ნერვებით. როდესაც მან დაამთავრა ვარჯიში ყველა მსაჯმა ერთხმად შეაფასა იგი 9,55 ქულად.

რა თქმა უნდა სპორტსმენის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. მან იაპონელთან ერთად გაიყო მსოფლიოში უძლიერესი ტანმოვარჯიშის სახელი. მაგრამ ჩუკარინი გაოცდა, როდესაც იგი საპატიო კვარცხლბეკზე ყველაზე მაღლა შეაყენეს. იაპონელი რამდენიმე სანტიმეტრით დაბლა, მეორე ადგილისათვის განკუთვნილ საფეხურზე იდგა.

ცერემონიალის შემდეგ გაიგო ვიქტორმა, რომ იგი მწვრთნელს მოუტყუებია. იმისათვის, რომ იაპონელთან ერთად გაეყო პირველი ადგილი ჩუკარინისათვის საკმარისი ყოფილა მხოლოდ 9,50 ქულა.

* * *



III მსოფლიო ახალგაზრდულ თამაშებთან დაკავშირებით გამოსული მხატვრული პლაკატი — „ძალოსნობა“.

რედაქტორი ი. უგულავა.

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის თბილისი, „ლელო“.
ტელეფონები: რედაქტორისა — 3-89-62, პ-მგ. მდივნისა და განყოფილებების — 3-90-34, მორიგისა და გამომშვებების — 3-38-25.

საქართველოს კპ ც. კ-ის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
უე 02205